პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 11 თებერვალი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 32 (720) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ...უშათა ორგანიზაციებთან კავშირის შესახებ.

...დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭ...ბა ჩვენი ნაწილების და მი...რებულ სამოქალაქო ორგა...ზაციების კომუჯრედთა მდი...ბის თათბირის რეზოლიუ... ამ გადაწყვეტილებას უდი...სი მნიშვნელობა აქვს წითე...-არმიისა და მუშების დაა...ოების საქმეში. ის მტკიცე ...უძველზე აყენებს ამ კავ...ს და მიუთითებს იმ ...ქტიკულ ღონისძიებებზე, ...მლის საშუალებით შეიძ...ბა მისი განმტკიცება და ...რმავება.

...კავშირი წითელ-არმიის ნა...ლებსა და მუშათა ორგანი...ციებს შორის დღემდიც არ...ბობდა, მაგრამ ის საგრძნო...ა მოუსუსტებდა, რადგან ...იყო შესაფერი ფორმები, ...მელშიდაც უნდა ჩამოყა...ბებულიყო ეს დაახლოე...

...ხლა კი ეს პრაქტიკული ...ორმები მონახულია, რაც აღ...ნიშნულია თათბირის რეზო...უციაში და საჭიროა მხო...ოდ მისი ცხოვრებაში გატა...ება და განხორციელება. ...ათა შორის ამ თათბირმა ...ხან შეუწონლად სცნო ზო...ერთი ფორმები დღევანდე...მდი არსებული კავშირისა. ...გალითად იმ გარემოებამ, ...მ ერთ საწარმოო კომუ...რედზე მიმაგრებული იყო ...მოდენიმე ნაწილის კომუჯ...ედები, ვერ გამოიტანა ჯე...ვანი ნაყოფი. თათბირმა და...გინა თითო მუშათა კომუ...ედს მიემაგროს თითო ნა...ლის კომუჯრედი, რაც სწორ ...იჯათ უნდა ჩაითვალოს. თა...ირის რეზოლიუცია აგრეთ... მიუთითებს ერთ ფრიად ...ყურადღებო ნაკლზე, რო...ლსაც ადგილი ქონდა წი...ლ-არმიელთა უჯრედებსა და ...მა უჯრედების კავშირში. ეს არის ურთიერთი გამოცდილე...ბის გამოუყენება. მეტად საჭი...როა რომ რასაც მიაღწია ნაწილის პარტორგანიზაციამ ის თავის პირობებთან შეფარდებით გამოიყენოს საწარმოო კომუჯრედებმა და პირიქით. აქ არ შევჩერდებით რეზოლიუციის დახარჩენ მუხლებზე, გარდა ერთისა. ეს მუხლია ერთად კულტშეფობის აღება სოფელზე მოკავშირე სამხედრო საწარმოო უჯრედების მიერ. ეს მეტის მეტად დიდი მნიშვნელობის მუხლია და ჩვენ ლოვალეობას შეადგენს ყოველ მიზეზ გარეშე ნაყოფიერად გავატაროთ ის ცხოვრებაში. გაერთიანებული ძალებით წითელ ჯარის და საწარმოო უჯრედებს ჩინებულად შეუძლიათ კულტშეფობის გაწევა სოფლისათვის, რაც დიდათ ხელს შეუწყობს მუშის და გლეხის დაახლოებას და მათ შორის მტკიცე კავშირის გაღრმავებას. დღემდიც იყო ცდები ნაწილების და სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ შეფობის გაწევის სოფლებზე, მაგრამ ამას მეტ ნაწილად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ეხლა კი საჭიროა, რათა შეფობას მიეცეს სისტემატიური, მუდმივი ხასიათი და ის სწარმოებდეს შეთანხმებულად ჩვენი ნაწილების და მიმაგრებულ საწარმოო ორგ ნიზაციების გაერთიანებული ძალებით. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამ გზით კულტშეფობა სოფელზე მართლადაც მოიტანს მეტად კარგ ნაყოფს.

ამ რიგად მეტი მჭიდრო და სისტემატიური კავშირი ჯარის ნაწილებსა და მუშათა ორგანიზაციებს შორის და ამ კავშირის საშუალებით მეტი დაახლოება სოფელთან.

## შემთანხმებლები საქმეს აფერხებენ.

### მუშათა გაერთიანება.

**ყვითელ ინტერნაციონალში.**

ქალაქ ამსტერდამში (ჰოლანდია) შესდგა ამსტერდამის პროფკავშირთა აღმასრულებელი კომიტეტის თათბირი.

დაესწრენ ინგლისის დელეგატები პერსელის მეთაურობით, რომლებიც ეს რამოდენიმე კვირაა რაც საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდენ. ისინი მოითხოვდენ კონფერენციის მოწვევას საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად, რათა აწარმოონ მოლაპარაკება მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ შეერთების გზით.

შემთანხმებლებმა უარყვეს ინგლისის დელეგატების წინადადება და გამოიტანეს თავისი, რომელშიაც აცხადებენ, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა უნდა მიიღონ პირველად შემთანხმებელთა ინტერნაციონალის მოთხოვნილებები (ესე იგი დაჰგმონ რევოლიუციონური პროგრამები), ხოლო ამის შემდეგ კი შეიძლება მოლაპარაკება შეერთების შესახებო.

ასეთი საზიზღარი თამაშით შემთანხმებლებს სურთ ჩამოაშორონ ჩვენი მუშები საერთაშორისო პროლეტარიატს.

მაგრამ ადრე თუ გვიან მუშათა კლასი ჩაამწარებს შემთანხმებლებს ასეთ თამაშს.

## ყვითელი ინტერნაციონალის ახალი ლოზუნგი:

**„ბურჟუაზიას ვერაფერს ვავნებთ, თავი გავანებოთ მათთან ბრძოლას."**

9 იანვარს, ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი საფრანგეთ-გერმანიის მრეწველთა მოლაპარაკებისა და იმ პოზიციის შესახებ, რომელიც უნდა დაიკავონ ამ მოლაპარაკების მიმართ პროფორგანიზაციებმა.

კამათში აღნიშნულ იქნა, რომ პროფკავშირებს არ შეუძლიათ ხელი შეუშალონ ბურჟუაზიას ბლოკის (კავშირის) შეკვრაში და ამიტომ მათთან ყოველივე ბრძოლა უნაყოფოაო.

არჩეულ იქნა კომიტეტი, რომელმაც უნდა ადევნოს თვალყური მდგომარეობის შემდეგ განვითარებას და მოხსენება გაუკეთოს ინტერნაციონალს.

## მექრთამე სოციალისტები.

„მარქს მგონია არაფერი უთქვამს თავის კაპიტალში ქრთამის შესახებ. მოდი ეს მუხლი ჩვენ შევიტანოთ და განვახორციელოთ კიდეც."

გერმანიაში ამ ჟამად სწარმოებს ბარმატის საქმის გამოძიება. ბარმატი იყო მსხვილი მრეწველი, რომელიც დიდძალ ფულს ახარჯავდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დეპუტატებს, რათა მათ ხელი არ შეეშალათ მისი ინტერესებისათვის.

მეტად მძიმე ბრალი ედება ამ საქმეში რეიხსტაგის ცენტრის დეპუტატს—ლანგეს და ყოფილ ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრს გეფლეს.

სოციალ-დემოკრატი დეპუტატები გეპლმანი და შეიდემანი ბარმატის ხარჯზე სცხოვრობდენ ზაფხულობით აგარაკზე.

ქრთამის დიდი ნაწილი აუღიათ გეპლმანს, შეიდემანს, ბაუერს, ვისაკსა და ველსს.

## ბარმატი შუამავალია.

ბელგიის სოციალისტმა კამილ გიუისმანსმა განაცხადა, რომ სახელდობრ მან წარუდგინა პრეზიდენტ ებერტს ბარმატი, რომლის საშუალებით ის შეეკითხა გერმანიის პრეზიდენტს აცნობოს სოციალ—დემოკრატიის აზრი და სურვილი საზავო ხელშეკრულების შესახებ.

## იაპონიის მშრომელები ზეიმობენ საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებას.

9 თებერვალს ტოკიოში მოხდა საზეიმო კრება იაპონია საბჭოთა შეთანხმებაზე ხელმოწერის გამო. კრებას დაესწრო 500-დე წარმომადგენელი მუშათა და სხვა ორგანიზაციებიდან.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ იაპონიის მშრომელები აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის ცნობით და იაპონიასა და საბჭოთა კავშირის შორის დამყარდება ნამდვილი მეგობრობა მხოლოდ მაშინ, როცა იაპონიაში გაიმარჯვებს პროლეტარიატის დიქტატურა.

## ...რძოლა საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

...ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომში გაიმართა ...ავა პროფესიონალურ მოძ...ობის გაერთიანების შესახებ. ...ათის დროს ნათლად გამო...რკვა ორი მიმართულება ამ ...კითხში. პირველი მიმდინა...ეობას წარმოადგენენ სოციალ-...მთანხმებლები ჟუო, უდეგეს...ი და სხვა, რომლებიც უმ...ავლესობა არიან ამსტერდა...ს გაერთიანებაში და სასტი...ი წინააღმდეგი პროფმოძრა...ბის გაერთიანებისა. მეორე ...მდინარეობა არის ამსტერ...ამის მემარცხენე ფრთა, რომელსაც მეთაურობს ინგლისის პროფმოძრაობის წარმომადგენლობა. წინააღმდეგ პირველისა ეს მხარე იბრძვის საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

მისი მიზანია მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნა კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ. ამიტომაც ისინი მიისწრაფიან რათა გააერთიანონ ევროპის და საბჭოთა კავშირის პროფკავშირებ. ამ მხრივ მათ დიდ წინააღმდეგობას უწევენ ამსტერდამის ყვითელი ბელადები—მენშევიკები, ჟუო, უდეგესტი, აბრამოვიჩი, გროსმანი და სხვები, რომლებსაც მთელი თავისი ბუნებით სძულთ კომუნისტები.

ჟუო და მისი კამპანია ის ხალხია, რომლებმაც დაკარგეს ყოველგვარი სინდისი, ყოველ გზაჯვარედინზე ჰყიდიან მუშათა კლასის ინტერესებს და ერთგულად ემსახურებიან იმპერიალისტურ ბურჟუაზიას.

და აი ამ ორ მოწინააღმდეგე მიმართულებათა შორის გაიმართა კამათი და დავა საერთაშორისო პროფმოძრაობის საკითხის გარშემო. ძთავარი ამ საკითხის გარჩევის დროს იყო ამსტერდამის დამოკიდებულების გამორკვევა საბჭოთა პროფკავშირებთან. როგორც ზევით ვსთქვით ამსტერდამის ხელმძღვანელთა უმრავლესობას ე. ი. სოციალ-დემოკრატებს არ სურთ საბჭოთა პროფკავშირების შემოერთება საერთაშორისო პროფმოძრაობაში, ვინაიდან ამაში ისინი ხედვენ თავის დაღუპვას.

ერთმა მათგანმა მენშევიკ აბრამოვიჩმა გულახდილად აღიარა, რომ „რუსეთის პროფკავშირების შემოსვლა ამსტერდამში ლახვარს ჩასცემს საერთაშორისო პროფმოძრაობასო" ე. ი. გასაგებ ენაზე რომ ვსთქვათ ძამე რისხვად დაატყდება ყვითლებს და სოციალ შემთანხმებლებს. ამიტომაც მათ მყისვე დაიჭირეს ისეთი პოზიცია, რომელიც შეუძლებლად ხდის საბჭოთა პროფკავშირების შესვლას საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანებაში.

სოციალ-გამყიდველები ასე სვამენ კითხვას: „ჩვენ მივიღებთ საბჭოთა პროფკავშირებს ამსტერდამში, თუ ისინი მიიღებენ ყველა ჩვენს პირობებსო ე. ი უარს იტყვიან რევოლიუციონურ ბრძოლაზე და გახდებიან ყვითელი პროფკავშირები". საკითხის ასეთი დასმის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა მემარცხენე უმცირესობამ, რომელმაც მოითხოვა, რომ ყოველგვარ წინასწარ პირობის გარეშე მოწვეულ იქმნას წინასწარი კონფერენცია ამსტერდამის და რუსეთის პროფმოძრაობის წარმომადგენლებისაგან, სადაც გამოირკვევა ყველა სადავო საკითხები.

დიდი კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომლის წინააღმდეგ წავიდენ მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები.

ეს რეზოლიუცია მართალია არაფერს არ ლაპარაკობს ახალს, ის გამოხატავს ყვითლების სულისკვეთებას, მაგრამ ერთი რამ არის მასში საყურადღებო. ის მეტის მეტად ლმობიერ ფორმაში დაწერილია, რაც იმის მომასწავებელია, თუ როგორ დაშინებულია ამსტერდამის ყვითელი უმრავლესობა მემარცხენე უმცირესობით.

ამსტერდამელებს ეშინიათ, რათა მათ არ დაკარგონ ინგლისის პროფკავშირები, რომლებიც აძლევენ მათ შემოსავლის 80 პროც. ამასთანავე ერთად ამსტერდამელები ვეღარ ბედავენ ისე აშკარად გალაშქრებას საბჭოთა პროფმოძრაობის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს დიდათ გაუტეხს მათ სახელს თვით თავიანთ მუშათა მასებში. ამიტომაც მათ გამოიტანეს ორაზროვანი, ბუნდოვანი რეზოლიუცია, რომელიც არაფერს ახალს მათ პოზიციაში არ ლაპარაკობს და რომელიც მხოლოდ თვალის ახვევაა.

მართალია მემარჯვენე ფრთამ თავისი გაიტანა, მაგრამ ეს გამარჯვება დროებითია.

მიუხედავათ მათ ხრიკებისა და ოინების მთლიანი მუშათა ფრონტი მაინც შეიქმნება და მის პირველ რიგებში იქნება საბჭოთა პროფკავშირები.

—ე.

ქალთა განთავისუფლების ლიგის წარმომადგენელმა ქალმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება შეძლებას მისცემს იაპონიის ქალებს, მზგავსად რუსი ქალებისა, გაინთავისუფლონ თავი მძიმე უღლისაგან.

მუშები მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს. გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება გაეგზავნოს ჩიჩერინსა და კარახანს მილოცვის დეპეშა.

## მზადება პროვინციები.

ქალაქის ადმინისტრაცია და საქმიანი წრეები აწყობენ ოსაკაში და კობეში (იაპონია) საზეიმო დღესასწაულს ხელშეკრულების დამტკიცების დღისთვის.

---

## ახალი საგადასახადო შეღავათები წითელ არმიელთათვის.

ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შემოიღო შემდეგი დამატებითი შეღავათები: წითელ-არმიელთა ოჯახები, რომლებიც ეწევიან მიწის დამუშავებას და არა ჰყავთ შინაური საქონელი, თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

დამატებითი შეღავათების გამოქვეყნებამდი აკრებილი 1924 წლის გადასახადი უნდა დაუბრუნდეს უკან ზემო აღნიშნულ ოჯახებს.

---

## საუბარი გერმანიის რეიხსკანცლერ ლიუტერთან.

გერმანიის რეიხსკანცლერი ლიუტერი როსტას თანამშრომელთან საუბარში შეეხო გერმანიის საგარეო პოლიტიკის სამ მთავარ საკითხს: კელნის ზონის ევაკუაციის (განთავისუფლებას), გერმანია-საბჭოთა ურთიერთობას და თავდებობითი ხელშეკრულების უზრუნველყოფის საქმეს.

ლიუტერმა განაცხადა, რომ გერმანია ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს, რათა ადრე განათავისუფლოს კელნის ზონა.

უზრუნველყოფის თავდებობის შესახებ მან განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა მზადაა გადასწყვიტოს უზრუნველყოფის საკითხი „საერთო მოლაპარაკების“ გზით. ჩვენ გვსურს გავიგოთ, თუ რაში გამოიხატება ჩვენ მიერ ვალდებულების დარღვევა, რასაც ჩვენ გვაბრალებენ განიარაღების საკითხში თუ დაგვიმტკიცებენ იმას, რომ ამ საკითხში ჩვენ გადავუხვიეთ ვალდებულებას, მაშინვე მივიღებთ ზომებს შეცდომის გამოსასწორებლად.

გერმანია—საბჭოთა ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ ლიუტერმა განაცხადა, რომ მოსკოვთან წარმოებულმა ეკონომიურმა მოლაპარაკებამ ყოველმხრივ ნათელყო ორივე მხარეს სურვილი და ზრახვები. ლიუტერმა იმედი გამოსთქვა, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებაო.

---

## ერიოს რეაქციონური პოლიტიკა.

საფრანგეთის კომპარტიის გაზეთი „იუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს მემარცხენე ბლოკის რეაქციონურ პოლიტიკას ტუნისში.

ბურჟუაზიული პრესა სცრუობს, როცა აცხადებს კომუნისტურ შეთქმულების აღმოჩენაზე.

კომუნისტური პარტია პროტესტს აცხადებს აქტიურ მუშათა დეპატიმრების წინაამდეგ, რომლების ერთად ერთი დანაშაული ისაა, რომ ასრულებენ პროფკავშირთა ხელმძღვანელების როლს.

---

## ცეცხლის მფრქვევი მთა კინემატოგრაფზე.

იტალიის სამხედრო მფრინავებმა მოახერხეს ცეცხლის მფრქვევი მთის ეტნას მოქმედების კინოლენტზე გადაღება. ეს ცდა ჩინებულად იქნა შესრულებული მთაზე რამდენიმეჯერ გადაფრენის შემდეგ, სურათზე საუცხოვოდ არის გადაღებული ორთქლი და ცეცხლი, რომელიც ამოდის მთის წვერიდან.

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა

—გომარეთის თემში. სათემო არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 31 წევრი. მათ შორის 5 კომუნისტია.

—სოფ. კამარლინში. აირჩიეს კამარლინის სათემო საბჭო 38 წევრის შემადგენლობით. მათ შორის 1 ქალია და 5 კომუნისტი.

—ამამლინის თემი. ამამლინის სათემო საბჭოში აირჩიეს 40 დეპუტატი აქედან 5 კომუნისტია.

— ბაშვიჩეთის რაიონში. ბაშვიჩეთის რაიონში სულ არჩეულია 224 წევრი. მათ შორის 1 ქალი და 14 კომუნისტი.

---

# საბჭოთა კავშირში

## საზღვრების გასწორება ბელორუსიასა და უკრაინის შორის.

ბელორუსიის ცაკის სესიამ დაამტკიცა ბელორუსიის ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ბელორუსიისა და უკრაინის რესპუბლიკებს შორის საზღვრების გასწორების შესახებ.

## საბჭოთა დელეგაცია ამერიკაში

### უკეთ უნდა შევისწავლოთ სამრეწველო საქმის მოწყობა.

ამ დღეებში ნიუ-იორკში ჩავიდა საბჭოთა სამთო და სამეტალურგიო სამრეწველოების მუშები. მათი მოგზაურობის მაზანია გაეცნონ ამ დარგის სამრეწველოების მუშაობის მეთოდებს.

დელეგაცია დარჩება ამერიკაში 3 თვე.

## წყალდიდობის საფრთხე ბათუმის რაიონში.

თოვლის ძლიერი დნობის გამო მოსალოდნელია წყალდიდობა ქურთებით დასახლებულ კახაბერის მიდამოში. ღებულობენ საწინააღმდეგო ზომებს.

## ფქვილი ამიერ-კავკასიისათვის.

ბათუმის ნავთსადგურში შემოვიდა 317,000 ფუთი ფქვილით დატვირთული ინგლისის გემი „ჩატამი“. ფქვილი წამოღებულია ამერიკიდან სახელმწიფო ბანკის მისამართით. სწრაფად გადმოტვირთვა.

# სამხედრო საქმე

## საჭიროა ვიცოდეთ მეზობელ სახელმწიფოების ჯარების ორგანიზაცია.

### საფრანგეთი.

ცოცხალი ძალის მანქანებით შეცვლის მისწრაფება არც ერთ სახელმწიფოში ისე არ გავრცელებულა, როგორც საფრანგეთში.

ამ მხრივ აღსანიშნავია ახლად შემოღებული საფრანგეთის ჯარში, ეგრედ წოდებული, „ტყვიამფრქვეველების ათასეულები“.

ისინი არ შეადგენენ კორპუსების ორგანიულ ნაწილებს, არამედ უშუალოთ ექვემდებარებიან არმიის უფროსებს, რომლის შემადგენლობაში შედიან.

მათი შემადგენლობა შემდეგია:

ერთი ოცეული მეთაურებისა, ერთი შტაბის ასეული და 4 ტყვიამფრქვეველთა ასეულები.

უკანასკნელი შესდგება: ერთ ოცეულ მეთაურებიდან და სამ სამ საბრძოლო ოცეულისაგან

საბრძოლო ოცეულები თავის რიგში იყოფიან ორ ჯგუფათ; თვითეულ ჯგუფში შედის ორი მძიმე ტყვიამფრქვევი და ორიც მსუბუქი.

მათთვის წესდება ჯერ არ შემუშავებულა, ამიტომ მათზე ცნობების შეკრება შეიძლება მხოლოდ სამხედრო ლიტერატურაში.

საფრანგეთში ასეთ ათასეულებს უყურებენ როგორც ტეხნიკურ საშუალებას, რომელმაც მომავალ ომში უნდა გაათავისუფლოს ქვეითი ჯარი არა პირდაპირ დანიშნულების მოხმარებისაგან.

მათი დანიშნულება წმინდა მოგერიების ხასიათის არის და ამიტომ ორი ან სამი ათასეული შეერთდებიან ერთ ჯგუფში და მიეცემათ საჭირო შემთხვევაში კორპუსებს კედაროზე.

ხსენებულ ათასეულების უმთავრეს ამოცანას შეადგენს მოგერიების დროს პოზიციების წინ ცეცხლის ფარდის შექმნა წინასწარი გეგმით.

ამ შემთხვევაში მსუბუქი ტყვიამფრქვევები დახმარებას უწევენ მძიმე ტყვიამფრქვეველებს.

მათ მოვალეობას აგრეთვე შეადგენს, ფრთის ცეცხლის შექმნისათვის გადგომილ ტყვიამფრქვეველების თუ ქვემეხების დაცვა, რომლებიც უიმისოდ ცუდად დაფარული არიან მოპირდაპირის ცეცხლისაგან.

ასეთი ათასეულებით ფრანგები ფიქრობენ შექმნან ხანგრძლივი მოგერიება.

ვინაიდან ასეთი ათასეულები მოკლებულნი არიან დარტყმითი ძალას, ისინი უნდა ინიშნებოდნენ ისეთ ნაწილებთან, რომლებიც აღჭურვილი არიან უკანასკნელით.

მოგერიების დროს ისინი ეძლევათ ქვეითი ჯარებს, რომლებიც უკანასკნელს საშუალებას აძლევენ ძლიერი ცეცხლის გაჩენისას და გაჭიანურებულ კედაროს მცირე ნაწილებით თავდაცვას.

ამავე დროს ასეთი ათასეულები მოკლებული არიან დარტყმითი ძალას, რაც მათ უძნელებს მხარი დაუჭირონ თავიანთ ნაწილებს შეტევის დროს.

ფრანგების აზრით ეს სავსებით მისაღებია დღევანდელ პირობებში.

საზოგადოთ ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანათ გამუქებულ ტყვიამფრქვეველების ორგანიზაციისა და ტაქტიკის საკითხი.

მოსალოდნელია რომ ახლო მომავალში ასეთი იქნება.

მ. გ.

---

## საკავშირო კომისიის მუშაობის მორიგი ამოცანები.

წითელი არმიის მუშათა ორგანიზაციებთან დახლოვება ერთ ერთი სახეა სოფლის და ქალაქის კავშირისა და ამ მხრივ საკავშირო კომისიებს დიდი ასპარეზი და ამოცანები უდევს წინ.

დღეს ჩვენი წითელი ჯარისათვის არსებობს, ნორმალური, მშვიდობიანური პირობები, რაც საშუალებას აძლევს წითელ არმიას გამოიჩინოს თავისი ბუნება არა მარტო როგორც შეიარაღებულის, არამედ როგორც კულტურულ—შემოქმედებითი ძალით. თავის თავად ისმება წითელ არმიის მუშებთან და გლეხებთან დაკავშირების საკითხი, რომელსაც სწყვეტს საკავშირო კომისიები სხვა და და სხვა თვითმოქმედ მასიურ ორგანიზაციების საშუალებით. ამისათვის საკავშირო კომისიების და სხვა თვითმოქმედ ორგანიზაციების გამოცოცხლება, მათში ენერგიის და სიცოცხლის შეტანა, გარდაუვალი საჭიროებაა.

ამ საგანს ჩვენმა პარტ-კონფერენციამ მიაქცია სათანადო ყურადღება, მან მოგვცა ბევრი ზოგადი მითითებანი და გვიჩვენა საკავშირო კომისიების მუშაობის ხაზი.

პირველი და უმთავრესი, რომელიც საკავშირო კომისიამ უნდა გაატაროს, არის ჩვენი ნაწილების საწარმოვო ორგანიზაციებთან დაკავშირება; მუშების ფართე მასები, მით უფრო გლეხურ მასები ნაკლებათ იცნობენ საქართველოს წითელ ჯარს და მისი მნიშვნელობა-დანიშნულებას დღევანდელ საერთაშორისო პირობებში. ბევრმა მათგანმა არც კი იცის, თუ არსებობს საქართველოს წითელი ჯარი და რა როლი ითამაშა მან მენშევიკების ავანტიურის დროს. წითელი ჯარის გაცნობა ფართე მასებისათვის დამოკიდებულია სამოქალაქო ორგანიზაციებთან დაახლოვებისაგან. ეს კი შეიძლება მაშინ, როდესაც ჩვენი ჯარი უპირველეს ყურადღებას მიაქცევს მჭიდრო კავშირის მუშურ ორგანიზაციებთან დაჭერას და მათთან საერთო და შინაურ ცხოვრების ახსნა-განმარტებაში მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

ამ საკითხის განხორციელების მეორე მხარე ჯარის სოფელთან დაკავშირების საქმეა.

ამ საქმეში წითელ ჯარს უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია. ამ საკითხის განხორციელებისათვის პირველი პრაქტიკული: ზომები დაუყონებლივ განახლებულ უნდა იქნეს სოფლებზე შეფობა, რომელიც საზაფხულო ბანაკობის შემდეგ აქა იქ სრულიად შესწყდა ზოგან ან ძალიან მოისუსტებს. დღეს ეს საკითხი საბოლოოდ უნდა იქნეს მოგვარებული. სოფელზე კავშირი ყოველგან, სადაც კი ხელი მოგვიწვდება, უნდა იქმნეს აღდგენილი მუდმივი კავშირი, საშეფო მუშაობას უნდა ქონდეს კულტურული და პოლიტიკური ხასიათი, ამ საკითხის მოგვარებაში არა ნაკლებ როლს შეასრულებს წითელ არმიელთა წერილების ბიუროების მოგვარება. აქ ჩვენი მუშაობა ძალიან მოისუსტებს, რაც დღეიდან კი უნდა იქნეს გამოცოცხლებული, ვინაიდან ამ საკითხს აქვს დიდი მნიშვნელობა არა მარტო წითელ ყაზარმაში, არამედ თვით სოფლის ცხოვრებაშიაც. პრაქტიკული ნაბიჯები, რომელიც უნდა გადადგან ადგილობრივმა ამხანაგებმა, უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში:

ყოველგან, სადაც კი ჩვენი ნაწილები დგანან, მაზრაში, რაიონში, თუ თემში, უნდა გამოყონ განსაკუთრებული ამხანაგი, აღმასკომის წევრი, რომელსაც დაევალება წითელ არმიელთა მშობლების, ნათესავების, ყოფა-ცხოვრების თვალყურის დევნება და მათთვის სათანადო დახმარების გაწევა; აღადგინოს კავშირი ამა თუ იმ ნაწილებთან და პოლიტ-განყოფილებასთან, ყველა იმ ცნობათა მიწოდებით. შეემსუბუქა თუ არა ამათუ იმ წითელ არმიელის ოჯახური მდგომარეობა და თუ რა ზომას მიმართა. თავისთავად ცხადია ამ საქმის შესრულება ადგილობრივ ამხანაგების დაუხმარებლად შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამაზრო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სრული შეგნებით გაგვიწევს დახმარებას ამ საქმის მოგვარებაში.

აი საკავშირო კომისიის მუშაობის მორიგი ამოცანები.

ვ. სიხარულიძე.




# წიგნი და თოფი ორივე იარაღია.

## ...ისწავლე ორივე და გაიმარჯვებ ორ ფრონტზე: დაამარცხებ მტერს და უვიცობას, რომელიც აშკარა მტერზე უფრო საშიშია.

### ყურადღებას მაინც არ გვაქცევენ.

პირველ ლეგიონის ცხენ. მზვერავთა მწყობრის არმი...ებს დაგვირიგეს ფეხზე დასახვევი ტოლალები (ალბად წა...ის მაგივრად) რაც მეტის მეტად გვიშლის ხელს ცხენებზე ...ჯიშობის დროს.

ხშირია შემთხვევა, რომ ტოლალები, ფეხზე გვეხსნება, ...ლილ ტოლალებს ცხენები ფეხს აბიჯებენ და ჰგლეჯენ. ...ო ხშირად ტოლალი არ წყდება და ამის გამო არმიელიც ...დება ცხენიდან.

ამის შესახებ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ...ცლებზე, პატაკიც კი გაიგზავნა დანიშნულებისამებრ, მა...მ ყურადღებას მაინც არავინ გვაქცევს.

ტოლალები კი ისევ ისევ გვაბრკოლებს მეცადინეობაში. ...ნასკნელად საჭიროა მოგვაქციონ ყურადღება. შეუძლებე... ხდება ასეთ პირობებში მეცადინეობა.

მზვერავი მაქსიმეშვილი.

---

### ...გვინიშნეს პოლიტ-ხელმძღვანელი.

პირველი დივიზიის შტაბსა და პოლიტ-განყოფილებაში ...ვლენილი ვართ 12 წითელ-არმიელი. ამ უკანასკნელ ხანე...მდე თითქმის უყურადღებოდ ვიყავით მიტოვებული, არავი...რი ხასიათის მეცადინეობა ჩვენთან არ სწარმოებდა.

ამ რამოდენიმე დღის წინად უკვე მოგვაქციეს ყურად...ება და დაგვინიშნეს ხელმძღვანელი პოლიტსაათების ჩასა...რებლად. მეცადინეობა ამ ჟამად სისტემატიურად მიმდინა...ობს. ჩვენი ხელმძღვანელი ამხ. გაბისონია ჯარ კმაყოფილ...ბა მარტო პოლიტიკური კითხვებით. საუბრის დროს ის ...ა საგნებსაც ეხება (ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია) და ...ძლევს მათზე ზოგად წარმოდგენას.

ასეთი გულმოდგინეობისათვის მადლობას უცხადებთ ამხ. ...ბისონიას და იმედი გვაქვს ის ისეთივე ენერგიით გააგრძე...ებს ჩვენთან მეცადინეობას, როგორც აქამდე.

წ. არმ. გაჩეჩილაძე.

---

...დნა ბურჟუაზიის ხელში არის მშრომელთა დამონა...ვების იარაღი.

...იგნი ძლიერი იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ბიბლიოთეკა კომუნიზმის სკოლაა.

---

### ...პ. რველ მესანგრეთა ასეულის ცხოვრებიდან

ყაზარმაში მოსვლისას დაგვანაწილეს ჯგუფებად. შესდგა ...რე მცოდნეთა და წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არ...ლების ჯგუფები და დაიწყეს ჩვენთან მეცადინეობა.

სწავლა არ გაგრძელებულა დიდ ხანს, რადგანაც ჩქარა ...იყვანეს სკოლაში სპეციალური მუშაობის საწარმოებ...დ.

თითქმის ერთი თვის განმავლობაში დილიდან საღამომ...ე ვმუშაობდით და შევისწავლეთ როგორც სხვა და სხვა გვა...სანგრების გაკეთება, ისე სხვა საჭირო სპეციალური სამხე...ო დარგი.

წითელ არმიელები დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდენ ...ედრო საქმეს. ყოველ დილაობით მხიარული ყიჟინით მი...რთებოდენ სამუშაოდ ველში და მათი ინტერესი არასოდეს ...განელებულა.

20 დეკემბრისათვის უკვე დავასრულეთ სამხედრო-სავე... მუშაობა და ამის შემდეგ ისევ ძველებური გულმოდგინე...ით მოჰკიდეს არმიელებმა წერა-კითხვის შესწავლის საქ...ხელი.

წერა-კითხვის მცირე მცოდნეებთან მეცადინეობას აწარ...ებს ამხ. ხუტურაული, რომელსაც ძლიერ ემადლიერებიან ...ნაგები.

უცოდინარებთან კი ამხ. გიორგაძე.

იმედია ჩვენი მასწავლებლები ჩვეულებრივი ენერგიით ...აგრძობენ ჩვენთან მეცადინეობას.

ხელთუბნელი.

---

## პარტიული ცხოვრება.

### სამხედრო და სამოქალაქო პარტ-ორგანიზაციათა მდივნების თათბირზე მიღებული რეზოლიუცია აღნიშნულ პარტ-ორგანიზაციების კავშირის შესახებ.

ქართულ დივიზიის ტფილისის გარნიზონის ნაწილთა უჯრედების მდივნების და მათთან დაკავშირებულ სამოქალაქო უჯრედების გაერთიანებული თათბირი აღნიშნავს:

რომ დღემდის კავშირი სამხედრო და სამოქალაქო პარტ-ორგანიზაციათა შორის გამოიხატებოდა ურთიერთ შორის წარმომადგენლობ აში, შეერთებულ ძალებით წარმოდგენა საღამოს გამართვაში, მიტინგების და ექსკურსიების მოწყობაში და რაც უმთავრესია:

სახელდობრ სამოქალაქო პარტ-ორგანიზაციების და პირიქით სამხედროსი გამოცდილების გამოყენებას კი ადგილი აქ ჰქონია, კავშირის გამოსაყენებლად პარტიულ პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის გასაძლიერებლად თათბირს აუცილებლად მიაჩნია.

1. დაისვას კითხვა ს. კ. პ. ცეკას წინაშე, რომ თითეულ საწარმოვო ორგანიზაციასთან მიმაგრებულ იქნას თითო სამხედრო ნაწილი.

2. აიღოს კურსი ნაცვლად დაწესებულებისა საწარმოვო ორგანიზაციებიდან.

3. აღრიცხვისა და სამოქალაქო პარტ-ორგანიზაციებისა პირიქით სამხედროსი გამოცდილების გამოყენების მიზნებისათვის მიმაგრებულ უჯრედების სხდომებზედ ისმებოდეს სამხედრო უჯრედების მდივნების მოხსენებები და პირიქით. (მხედველობაში იქნას მიღებული სამხედრო პარტ-ორგანიზაციის დამოუკიდებლობის დაურღვევლობის აუცილებლობა).

4. წითელ-არმიელთა თვით მოქმედების ორგანიზაციები უნდა დაუკავშირდეს წარმოებათა სათანადო ორგანიზაციებთან (რემეგასი, ს. ფ. მ. ს. „დობროქიმ" და სხვ.) და აგრეთვე სამნეო დამხმარე კომისიები საწარმოვო კომისიებთან, და კავშირის კომისია საშეფო კომისიასთან.

5. აღიარებულ იქნას აუცილებელ საჭიროებად სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად კულტურულ შეფობის აღება სოფელზედ.

6. იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არიან არჩეულნი წარმომადგენლები სამხედრო პარტ ორგანიზაციებიდან სადელეგატო თათბირზე, გამოყოფილი იქმნან დაუყონებლივ.

7. მიქცეულ იქნას სერიოზული ყურადღება ნაწილის კლუბის და სამკითხველოს მიმაგრებულ საწარმოვო ორგანიზაციების კლუბების და სამკითხველოების დაკავშირებაზე.

8. პარტ ორგანიზაციების დაკავშირებასთან ერთად პარალელურად დაახლოებულ იქნას ლ. ა. კ. კ. ჯგუფებთან.

9. გაძლიერებულ იქნას უჯრედების მდივნების თათბირზე ურთიერთ დასწრება.

10. ხდებოდეს ოქმების გადაცვლა.

11. საერთო კრებების და უჯრედების სხდომებზე ხდებოდეს მომხსენებლების შეცვლა.

12. შემდეგშიაც ხდებოდეს გაერთიანებულ ძალებით კამპანიების, საღამოების, მიტინგების, ექსკურსიების ჩატარება.

13. მიჩნეულ იქნას მიზანშეწონილად პირველ ლეგიონის მიერ წარმოებული ხელმძღვანელობა და დახმარება მიმაგრებულ ორგანიზაციებში. სამხედრო კუთხეების მოწყობას და ნება ყოფილი სამხედრო სამეცნიერო მეცადინეობის ხელმძღვანელობის საქმეში.

14. შეძლების და დაინტერესების გვარად ჩაბმულ იქნას მიმაგრებულ სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში.

15 კავშირის კომისიებმა, რომლებიც თავის მუშაობას უკავშირებენ ნაწილის პარტ ორგანიზაციის მუშაობას, მიაქციონ ყურადღება წარმოებულ მუშაობის ცდების აღრიცხვას და გამონახოს მუშაობის, პროცესში დაახლოვების ახალი მეთოდები და ფორმები.

16. მიჩნეულ იქნას აუცილებელ საჭიროებათ წარმოებების კომუჯრედებში საშეფო კომისიების შექმნა, თანახმად ცეკა რ. კ. პ. (ბ) გამომუშავებულ დებულებებისა საკულტშეფო მუშაობის შესახებ.

17. მიქცეულ იქნას ყურადღება კორესპონდენციების გადაცვლაზე, როგორც კედლის გაზეთებს შორის ისე „წითელ-არმიელის", „მუშა"-ს, „რაბოჩაია პრავდა"-ს შორის.

18. დაახლოება კომუნივერსიტეტთან გამოყენებულ იქნას ნაწილების პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერებისათვის.

19. დაისვას საკითხი ს. კ. პ. ტ. კ. წინაშე, რომ თითო სოფელზედ მიმაგრებული იქნას თითო სამხედრო ნაწილი და მასთან დაკავშირებული წარმოება.

---

### შავი კედლებიდან.

დღეს ცივს სარდაფებში სულს გვიხუთავს მტერი
მზის სხივი გვენატრება კომუნისთვინ მებრძოლთ,
და ჩვენს დღიურს შეადგენს რკინის ბორკილები
და რკინით დახლართული ვიწრო ფანჯრები.

და მით ლამობს მტერი, რომ ჩაგვიხშოს გულში
კომუნისთვის ბრძოლის მტკიცე სურვილები,
მაგრამ მტკიცე გული უფრო გვიკაჟდება,
ბრძოლის სურვილები უფრო ასკეცდება,
როს მომავლის სხივი წითლად მოკამკამებს,
და სულ მოკლე დროში აქ იელვებს ცეცხლათ.

მრავალი ვართ უთვალავი, მშრომელთ სამეფოში
ჩვენი მხნე რაზმები დღით-დღე ძლიერდება,
დრო დადგება და დაჰკრავს გამარჯვების წამები
და ცეცხლის ოქტომბერი მსოფლიოს მოედება —
მსოფლიოს მოედება ვით ელვისი ძლიერი,
ჩვენც ცეცხლათ გარდვიქნებით, და კოჟრიან ხელებით,
ერთის დაკვრით დავანგრევთ ამ ბნელ ციხე სიმაგრეს,
ნანგრევებზე ავმართავთ წითელ კოშკებს სიმშვიდის
მას შევამკობთ მოვქარგავთ ცეცხლის ფერად როშებით.

დაე, მათ დღეს გვაწამონ ცივსა და ბნელ კედლებში,
ჩვენი სისხლით და ოფლით, მტარვალმა ინეტაროს,
სანამ კიდევ არ დამდგარა მათი აღსასრულის დღე.
მანამდის კი დავსძახოთ კომუნიზმის სიმღერა,
დიად საქმის სამსხვერპლოზედ მხნედ კომუნარებო.

გოგიტო ციმბირელი.

---

### ჩვენც ჩავეწერეთ ქიმიის მოყვარულთა საზოგადოებაში.

8 თებერვალს პირველი ლეგ. მე-3-მე ასეულის კომუჯრედში შესდგა მორიგი ღია გაერთიანებული კრება, რომელზედაც დაესწრენ როგორც პარტიული ისე უპარტიო ამხანაგები.

კრებამ მოისმინა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: საბჭოთა არჩევნების, ქიმიის მოყვარეთა საზოგადოებისა და პარტიაში მიღების შესახებ.

1-ლ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გოშაძემ. ამხ. დაწვრილებით გაგვაცნო, თუ როგორ და რატომ ხდება საბჭოთა არჩევნები ყოველ წლიურათ. ბოლოს მოგვიწოდა, რომ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში და მთელი ენერგიით შევეცადოთ რათა ავირჩიოთ სათანადო პატიოსანი და ნდობით აღჭურვილი ამხანაგები. მოხსენება კრებამ მიიღო ცნობათ და სახელმძღვანელოთ. შემდეგი მოხსენება ქიმიის მნიშვნელობის შესახებ გააკეთა ამხ. ვაშაკიძემ. ის ვრცლად შეეხო თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქიმია როგორც ომში, ისე მშვიდობიან ცხოვრების დროს სასოფლო მეურნეობასა და სხვა მავნე ცხოველების საწინააღმდეგოთ. კრებამ მოხსენების შემდეგ დაადგინა, რათა ყოველი ამხანაგი გახდეს წევრი ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების. ამ მიზნით არჩეული იქნენ ორი ამხანაგი, რომელთაც დაევალათ მსურველების ჩაწერა ამ „საზოგადოებაში". კრებამ გაარჩია აგრეთვე ორი ამხანაგის ანკეტები პარტიაში მიღების შესახებ, რომლებსაც კომუჯრედმა უშუამდგომლა ბიურო კოლექტივის წინაშე მათი პარტიაში მიღების შესახებ.

სამხკორი ჟონეთელი.

### ახკომკავშირელთა შორის.

#### კოლექტიური მოხსენება.

7 თებერვალს მეთაურთა სკოლის პირველ ასეულში შესდგა. ახ. ლ. კომუნისტური კავშირის უჯრედის ღია კრება, რომელმაც მოისმინა კოლექტიური მოხსენება შემდეგ თემაზე: „კომკავშირის როლი სოციალისტურ რევოლიუციაში".

ამხანაგებმა ვრცლად გადაშალეს დამსწრეების წინაშე კომუნისტური ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორია, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში და გადავიდენ კომკავშირის როლზე მომავალ მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციაში. შეეხენ საბჭოთა რუსეთის კომკავშირის მნიშვნელობას სოციალისტურ აღმშენებლობაში და სხვა. მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო და დიდი ინტერესიდაც იქნა მოსმენილი ამხანაგების მიერ.

მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

მიმდინარე საკითხებში წამოიჭრა საკითხი ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან, რომელზედაც შესაფერი განმარტებით გამოვიდა ამხ. ოკრიბელაშვილი.

სამხკორი ნ. არჩუაშვილი.

## ჩვენს კომუჯრედში.

6-ს თებერვალს შესდგა მორიგი სხდომა ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედისა. მიუხედავათ იმისა, რომ ასეულის შემადგენლობა მთელ დღის განმავლობაში პრაქტიკულ სამუშაოზე იყო წასული, კრებას მაინც დაესწრო უჯრედის მთელი შემადგენლობა. დაესწრენ აგრეთვე ამხ. კ. კ. წევრები და უპარტიო წითელ არმიელებიც.

კომუჯრედის შემადგენლობის გასაძლიერებლად ასეულთან მიმაგრებული არიან პოლიტიკური განყოფილებიდან 3 პარტამხანაგი. ერთ-ერთ მიმაგრებულთაგან ამხ. პატარაიამ გააკეთა მოხსენება მენშევიკების ახალი ტაქტიკის შესახებ, რის შესახებ კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ გარჩეულ იქნა განცხადებები პარტიაში შესვლის შესახებ. (სულ შემოტანილი ია 9 განცხადება ამხ. კ. კ. წევრებისა, პარტიაში გადაყვ. შესახებ). „ამხ. ჯარიშნელოვი“ აცნობებს კრების მდივანს. „ამხ. კ. კ. წევრია, მუშაა, მუშაობდა საპნის ქარხანაში აქტიურ მუშაობას აწარმოებდა—სასაკლაოს ამხ. კ. კ. უჯრედშიო“. კრების მიერ ერთხმად იქმნა მიღებული კ. პ. კანდიდატათ.

„იაკოვლევი, ამხ. კ. კ. წევრია მუშა-ზეინკალი. 6 წელი უმუშავნია ზეინკლად. კრება ერთხმად ამტკიცებს კანდიდატათ. მიღებულ იქნა კანდიდატათ ამხ. ამხ. მაიერი და ნაზაროვი.

მიმდინარე კითხვებში იქნა დასმული კომუჯრედის წარმომადგენლის არჩევა თბილისის მე-4 რაიონის სადელეგატო კრებაზე, რის შემდეგაც კრება დაიხურა.

პარტკორი რუჯკოვსკი.

## სამნეო დარგის საკითხები.

**სამსახურის და მუშაობის განსხვავება ძირითად და ტერიტორიალურ ჯარის ნაწილების სამნეო დარგში.**

ძირითადი ჯარის ნაწილების სამნეო მუშაკების საერთო ნაკლულევანობაზე ლაპარაკის დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაკლულევანებანი, აუცილებლივ, არსებობენ ტერიტორიალურ ჯარის ნაწილებშიც, რაც შეძლებისამებრ, თანდათან ისპობიან, მაგრამ ტერნაწილების სამნეო მუშაკებს მაინც ჯერ კიდევ ბევრი რამე აქვთ შესასწავლი.

მუშათა და გლეხთა წითელ ლაშქარში სამილიციო წესი საბოლოოთ ჩამოყალიბდა ცაკის და ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. 8 აგვისტოს თარიღის დეკრეტით (რ. რ. ს. ს. 1923 წ. № 1742 ბრძანება) საქართველოში კი ტერიტორიალურ ჯარის ნაწილების შედგენა, დაიწყო უფრო გვიან. მაშასადამე ჩვენში, როგორც ტერიტორიალური ჯარების შედგენა, აგრეთვე თვით ტერნაწილების მომარაგების საკითხიც ახალია.

რაში გამოიხატება მუშაობა სამნეო მუშაკისა წითელი ლაშქრის ახალი სამილიციო წესის შემოღებით?

ყოველთვის, როდესაც გსურთ შექმნათ კარგი ლაშქარი, საკმარისია მომზადებული ძირითადი ჯარის ყოლა, რომ ამ საფუძველზე აღმოცენდეს უკვე ან ნამდვილი ძირითადი ან სამილიციო წესის არმია. ამ საკითხს უფრო მნიშვნელოვანობა აქვს სამილიციო ტერიტორიალურ ჯარის ნაწილების შედგენაში, ვიდრე ძირითადის.

თუ რომ სათანადოთ ნასწავლ და აღზრდილ ჯარის ნაწილების შესაქმნელად საჭიროა კარგი ძირითადი ჯარის ყოლა, უნდა ვსთქვად, რომ არა ნაკლებად საჭიროა კარგი გამოცდილი სამნეო მუშაკების ყოლა ტერიტორიალურ ნაწილებში, რომლების მოვალეობასაც შეადგენს,—ჯერ ერთი—სამხედრო ქონების შნოიანი მოვლა-პატრონობა, რაც დიდი შრომითაა მოგროვილი და წარმოადგენს დიდს საფასურს ჩვენს, ჯერ კიდევ ეკონომიურად გაუმაგრებელ საბჭოთა ქვეყნისათვის, და მეორეც—ტერნაწილების დახელოვნებულმა სამნეო მუშაკმა, უნდა მოამზადოს და გამოწრთვნას ტერნაწილის ცვალებადი შემადგენლობის სამნეო მუშაკები.

**ტერ ნაწილის სამნეო მუშაობის სირთულე.**

ჯარის ტერიტორიალური წესი უფრო მეტად მოითხოვს სამნეო მუშაკების საუკეთესოდ და განსაკუთრებითი მომზადებას. ჩვენს საერთო ნივთიერ ნაკლებულობის დროს შექუჩება და თავის მოყრა ყოველ გვარ მატერიალურ სახსრისა—ძალიან ძნელი საქმეა. სამნეო დარგის საკითხები ძალიან რთულია და მოითხოვს დიდს პრაქტიკულ გამოცდილებას, ერთ გვარ გეგმით გათვალისწინებულ წესს, დაბეჯითებას და გონივრულ ინიციატივის გამოჩენას.

ტერიტორიალურ ჯარის ნაწილებში სამნეო საკითხები უფრო რთულია, ვინაიდან აუარებელი ქონებაა მოსავლელ-საპატრონებელი და ძირითადი სამნეო მუშაკების რიცხვი კი ნაკლებადაა. ქონების მომზადება ტერნაწილების ცვალებადი შემადგენლობის შეკრებისთვის, წარმოადგენს დიდს საზრუნავს; ყველაფერი დროით უნდა იყოს გათვალისწინებული, ყველა ნივთები უნდა მოწესრიგდეს და რაც აკლია—მოთხოვნილ იქნას ვისგანაც ჯერ არს. შემდეგში, თანახმად გეგმაში გათვალისწინებულ ცვალებადი შემადგენლობის გამოცხადების წესისა, უნდა გადიგზავნოს ყველა საჭირო ნივთები იმ ადგილებში, სადაც შეიკრიბებიან მოწვეულნი.

თვითეულ სამნეო მუშაკს კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ თუმცა ტერნაწილებში სამსახურის ვადა დაწესებულია 4 წლიწადი, მაგრამ ცვალებადი შემადგენლობა შეიკრიბება ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 5-6 თვე, ამიტომ ის ქონება, რომელიც ეძლევათ ცვალებად შემადგენლობას, უნდა შენახულ იქმნას განსაკუთრებულ თაოსნობით და სწორი აღრიცხვით.

ტერნაწილების ცხოვრებაში ცვალებადი შემადგენლობის შეკრება, რასაკვირველია, არის უმთავრესი მომენტი და აი ამ მომენტისთვის საჭიროა თვითეული სამნეო მუშაკის მუყაითად მომზადება, რისთვისაც მან უნდა შეისწავლოს თავისი თანამდებობის რთული ამოცანები და წინდაწინვე მოემზადოს მის განსახორციელებლად.

ს. მაკუნი.

## უცხოეთის არმიებში.

### საჰაერო გოლიათები. ინგლისში მზადდება უზარმაზარი დირიჟაბლები (ჰაეროპლანები.)

ინგლისში დიდ შედეგებს მიაღწიეს, უზარმაზარი საჰაერო დირიჟაბლების დამზადების საქმეში. ეს ჰაეროპლანები სპეციალურად მზადდებიან შორეულ ქვეყნებთან ჩქარი მიმოსვლის მიზნით.

ამ ჟამად მზადდება ერთი უზარმაზარი დირიჟაბლი. მისი მოცულობა უდრის 5 მილიონ კუბიკურ ფუტს. მისი საერთო წონა აღწევს 155 ტონამდე. აქედან 20 ტონის (ტონი უდრის 61 ფუთს) სიმძიმე გამოანგარიშებულია მგზავრებისა და ბარგისათვის.

დირიჟაბლის სიგრძე აღწევს 216 მეტრამდე და სიმაღლე კი 140 ფუტამდე. მასზე მოთავსებული იქნებიან 7 მოტორი 600 ცხენის ძალით თითეული. საათში გაივლის 70 ვერსს.

ეს პირველი უზარმაზარი დირიჟაბლი დანიშნულია ეგვიპტესთან ჩქარი მიმოსვლის დასადგენად ინგლისიდან. ამ მიზნით სპეციალისტები გაემგზავრებიან ეგვიპტეში საჭირო ადგილის გამოსაძებნად, რომ ააშენონ სადირიჟაბლო ანგარა.

ამ დირიჟაბლს უწოდებენ R—33-ს. მისი პირველი გაფრენა გამოარკვევს, თუ რამდენად შეგუებული იქნება ის მორეული ქვეყნებთან კავშირის დასაჭერათ. ყველა დეფექტები მხედველობაში იქნება მიღებული მეორე უზარმაზარი დირიჟაბლის R—101-ს დამზადების დროს.

## ამბები სოფლებიდან

**სწავლა-განათლება გლეხებში**

გორის მაზრაში ამჟამად არსებობს 247 წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა. ყველა სკოლებში მეცადინეობს 11.585 გლეხი.

**ყვრის დამზადება.**

რაჭის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა შეადგინოს ყავრის მკეთებელ გლეხთა არტელი.

**გლეხთა სახლი რაჭაში.**

რაჭის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა ახლო ხანში ონში გახსნას გლეხთა სახლი, სადაც მოეწყობა იურიდიული დახმარების ბიურო, საექიმო ოთახი საპარიკმახერო, სასადილო და ბაღი.

**წყაროს გაყვანა.**

დეკემბერში გორის აღმასკომის თაოსნობით, დასრულდა წყაროს გაყვანა სოფ. კოდის წყაროში.

**ტყავეულობის წარმოება.**

გორის აღმასკომმა გადასწყვიტა ყურადღება მიაქციოს ტყავეულობის გაუმჯობესების საქმეს და ამ მიზნით გადაახალისოს ადგილობრივი ტყავის ქარხანა.

**სასოფლო-სამეურნეო უჯრედები.**

გორის მაზრაში, ამჟამად მიმდინარეობს წინასწარი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო უჯრედების მოსაწყობათ.

## ახალი ამბები.

— **ჯარში გასაწვევთათვის.** ჯანსახკომმა დაუგზავნა ცირკულიარი ყველა ქვემდებარე ორგანიზაციას ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათათვის უფასო საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— **ტრამვაი დიდუბეში.** 5 თებერვლიდან დაიწყო მუშაობა სადგურ—დიდუბის ხაზზე, ტრამვაიმ.

— **წყლის გასაწმენდათ.** ავჭალის წყალსადენს გასული წლის განმავლობაში წყლის საწმენდათ დაუხარჯავს 56.000 მანეთის შაბი და თიხის მიწა.

— **მეფუტკრეობა.** მიწ. დ. მოქმედ. კომისარიატის ცნობით მთელ საქართველოში (ავტონომიურ რესპ. გარდა) ირიცხება 50 ათასი ოჯახი ფუტკარი.

— **უმუშევართათვის დახმარების გაწევა.** იანვრის განმავლობაში დაზღვეულ უმუშევრებს დაურიგდათ დახმარების სახით 2.625 მანეთი.

— **ბექმეზის მიღება.** სახალხო მამულების ტრესტმა მიიღო ათასი ფუტი ბექმეზი (ტკბილეული) ღვინების შესაზავებლათ.

— **საორგანიზაციო ბიურო** მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა, ტფილისის აღმასკომთან დაარსოს საორგანიზაციო ბიურო.

— **სკოლების შესაკეთებლათ.** ცფილის აღმასკომმა გადასდო ქალაქის სკოლების შესაკეთებლათ 48 ათასი მანეთი.

— **შრომის უნარ დაკარგულებს.** ტფილისის დამზღვ. კასამ დაურიგა დროებით შრომის უნარ დაკარგულ მუშა-მოსამსახურეებს 52.741 მანეთი.

## ნარკვევი

### მთვარის დაბნელება.

კვირა ღამეს 8 თებერვალს მოხდა მთვარის ნაწილობრივი დაბნელება. როგორც ფიზიკური ობსერვატორიები იუწყებოდენ დაბნელება დაიწყო სრულ 11 საათზე და რვა წუთზე, რომელიც გაგრძელდა ორ საათამდე. დედამიწის ჩრდილში შევიდა მთვარის ბურთის თითქმის მთელი სამი მეოთხედი. პირველად ჩრდილი შეეხო მთვარის აღმოსავლეთის მხარეს და პირველის ნახევრამდე ბურთის დაბნელებული არე თანდათან მატულობდა. შემდეგ კი მან ისევ დაიწყო ჩრდილიდან გამოსვლა. მოწმენდილი ცა პირველ ხანებში მაინც ძლიერ უწყობდა ხელს დაბნელებისადმი თვალდევნას, რომელიც თანდათან უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდებოდა.

ეს მოვლენა მისთვისაა უფრო საინტერესო, ვისაც გაგებული აქვს და იცის თუ როგორ ხდება ეს დაბნელება. უსწავლელ ხალხისაგან ხშირად გაიგონებთ, მთვარის დაბნელების დროს, რომ მთვარე გველეშაპმა დაიჭირა და ბრძოლა აქვთ გამართულიო.

ეს მოვლენა ბევრი ომებისა და სისხლის ღვრის წინამორბედადაც მიაჩნიათ. სინამდვილეში კი არავითარ ასეთს ადგილი არა აქვს. ნამდვილად ასე ხდება: მთვარესა და მზის „შორის მოექცა „დედამიწა. მიწამ დაჩრდილა მთვარე ე. ი. დედამიწის ბურთმა გადაისროლა სივრცეში ჩრდილი. რადგანაც მთვარე დედამიწას უვლის გარშემო, ცხადია ამ დროსაც მან ამ ჩრდილში უნდა გაიაროს. ხშირად ის მთელი ტანით შეცურდება ამ ჩრდილში—მაშინ იტყვიან: მოხდა მთვარის მთლიანი დაბნელებაო, ხოლო თუ ის თავისი ტანის ნაწილით შედის ჩრდილში—ხდება მთვარის ნაწილობრივი დაბნელება. 8 თებერვალს ღამით მომხდარი დაბნელება იყო ნაწილობრივი დაბნელება.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. იმ დროს, როდესაც ჩვენთვის—დედამიწაზე მცხოვრებისათვის ხდება მთვარის დაბნელება, მთვარეზე არსებულისთვის კი მზე ბნელდება. ეს ადვილი გასაგებია, რადგან დედამიწა ექცევა ამ დროს მთვარისა და მზის შუა. ასევეა მზის დაბნელების დროსაც. როდესაც ჩვენთვის ბნელდება მზე, მაშინ მთვარე ჩადგა დედამიწისა და მზის შორის და აღარ გამოუშვა დედამიწისაკენ მზის სხივები. მთვარეზე მცხოვრებისათვის კი ამ დროს ხდება დედამიწის ნაწილობრივი დაბნელება, რადგან მთვარე პატარაა დედამიწასთან შედარებით და მისი ჩრდილი მთლიანად ვერასოდეს ვერ დაფარავს დედამიწის ბურთს.

ყოველ წელიწადში თითქმის სამჯერ ხდება მთვარის დაბნელება და ერთხელ ყოველთვის მთლიანი დაბნელება. ამას იწვევს მთვარის გზის (მისი მოძრაობის ხაზი) დახრა დედამიწის გზისადმი.

შ—ო

## ამოცანა.

ენა არ აქვს, თუმც ქვეყანას
ესმის მისი საუბარი,
არ კვდება და მუდამ
ცოცხლობს,
თუმც ცოცხალი კი არ არი,
დაჯდება და ამბავს გეტყვის
ძველს თუ ახალს, ცის თუ
ბარის
გაიცანი თუ გსურს გყავდეს
მარად კარგი მეგობარი.

## ჩვენი ფოსტა

**ამხ. გობჩიანს.** თქვენი კორესპონდენცია „მეორე ლეგ. 3-მ ასეულის ცხოვრებიდან“ არ გამოდგა. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ის. კოდუას.** კორესპონდენცია „სამკითხველო“ არ დაიბეჭდება.

**ამხ. ძველ სენაკელს.** წერილი „მადლობის ღარსია“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთში.

**ამხ. შორელს და კ. ფოთელს.** თქვენი წერილები „ერთი წლის თავზე“ არ გავა. დაგვიანებულია. მოგვაწოდეთ წერილები ხშირად.

**ამხ. ჭკადუას.** ლენინის კვირეულის შესახებ, თქვენი ლეგიონიდან უკვე დაიბეჭდა. ხელმეორედ და ისიც დაგვიანებულად ველარ გაუშვებთ.

**ამხ. შაუთიძეს.** „კომუჯრედის ღია კრება“ არ გავა. ამის შესახებ აღინიშნა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. კანტროლს.** წერილი „ვანის აღმასკომის საყურადღებოთ“ არ გამოდგა. მოგვწოდეთ სხვაზე.

**ამხ. ჩვენ ძმას.** თქვენი „ბიბლიოგრაფია“ არ გავა.

**ამხ. ნ. მინდელს.** შემოიარეთ რედაქციაში.

პასუხის-მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1000.